„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 მარტის #517 განკარგულებით დაფინანსდა 221,0 ათასი ლარი, კერძოდ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საჩხეურისა და დღნორისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

გ) სხვა შემოსავლები ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 10725,8 ათასი ლარი და 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 9366,5 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 1359,3 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიღებული, მათ შორის: პროცენტის სახით მიღებულია 1154,1 ათასი ლარი,

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 726,3 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 106,7 ათასი ლარი,

სანებართვო მოსაკრებელი - 140,6 ათასი ლარი,

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (სისტემურ - ელექტრონული ფორმის თამაშებიდან) – 6200,4 ათასი ლარი.

ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 233,4 ათასი ლარი,

შემოსავლები მომსახურების გაწევიდან - 150,0 ათასი ლარი (სახელმწიფო შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავალი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობის იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემოდან მიღებული შემოსავალი.

ჯარიმები, სანქციები და საურავები - 1810,4 ათასი ლარი,

ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე - 203,4 ათასი ლარი.

დ) არაფინანსური აქტივების კლება ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 1290,4 ათასი ლარი. 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 2980,7 ათასი ლარი, სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მიღებული შემოსავალი როგორც სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების

გაყიდვიდან) მიმდინარე პერიოდში 1690,3 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, მათ შორის: ძირითადი აქტივები - 132,6 ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 1157,7 ლარი. რაც განაპირობა სახელმწიფოს მიერ გაყიდული აქტივების რაოდენობამ.

ე) ხარჯები ეკონომიკური მუხლების მიხედვით

დასახელება	2025 წლის ბიუჯეტის გეგმა			2025 წლის ბიუჯეტის ფაქტი			
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		შესრულების %
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
II. ხარჯები	39,262.8	1,907.1	37,355.7	35097,5	1700,5	33,397.0	89.4
შრომის ანაზღაურება	5,639.1	0.0	5,639.1	5,292.0	0.0	5,292.0	93.8
საქონელი და მომსახურება	8,628.8	1,329.5	7,299.3	6624,6	1240,0	5,384.6	76,8
პროცენტი	17.4	0.0	17.4	6.0	0.0	6.0	35.3
სუბსიდიები	19,927.4	291.4	19,636.0	19,037.9	288.6	18,749.2	95.5
გრანტები	50.0	0.0	50.0	47.3	0.0	47.3	94.6
სოციალური უზრუნველყოფა	2,547.7	70.9	2,476.8	2,385.9	70.0	2,315.9	93.6
სხვა ხარჯები	2,452.4	215.2	2,237.1	1,703.8	101.9	1,601.9	69.5

ვ) ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:
ათასი ლარი:

org. kodi	დასახელება	2025 წლის ბიუჯეტის გეგმა	2025 წლის ბიუჯეტის ფაქტი	%
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	72.8	72.7	99.9
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	22740.2	20384.0	89.6
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	771.5	502.2	65.1
04 00	განათლება	270.8	80.3	29.7
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	1957.2	1433.5	73.2

06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	31.2	29.6	94.9
	სულ	25842.8	22502.4	87.1

დასახელება	2025 წლის ბიუჯეტის გეგმა	2025 წლის ბიუჯეტის ფაქტი	%
არაფინანსური აქტივების კლება	1049.0	1290.4	123.0
ძირითადი აქტივები	125.0	132.6	106.1
არაწარმოებული აქტივები	924.0	1157.7	125.3
მიწა	924.0	1157.7	125.3

ზ) ვალდებულებები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ზრდა	0,0	0,0	0,0
კლება	55.6	55.6	100

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხის შესაბამისად 2025 წლის 01 იანვრისთვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ვალი შეადგენდა 92,2 ათ ლარს, 2025 წელის საანგარიშო პერიოდისთვის ვალი შემცირდა (28 აპრილი და 28 ოქტომბერი) 61,6 ათ. ლარით. რის შემდეგაც მუნიციპალიტეტს დარჩა ვალი 30,6 ათ. ლარი.

თ) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2025 წლის ბიუჯეტის გეგმა	2025 წლის ბიუჯეტის ფაქტი	შესრულების %
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	8152,5	7051,5	86.5
704	ეკონომიკური საქმიანობა	20965,7	17740,7	84.6
705	გარემოს დაცვა	5975,5	5139,4	86.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	9253,4	8552,2	92.4
707	ჯანმრთელობის დაცვა	291,4	288,6	99.0

708	დასვენება, კულტურა და რელიგია	8188,4	7329,9	89.5
709	განათლება	8259,7	7590,6	91.9
710	სოციალური დაცვა	4019,0	3724,6	92.7
	სულ:	65105,6	57417,5	88,2

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ საანგარიშო პერიოდისთვის 57655,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (65161,2 ათასი ლარი) 88,5 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 54671,8 ათასი ლარი) დახარჯულია 2983,6 ათასი ლარით მეტი.

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 39262,8 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 34704,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 88,4%-ია.

შრომის ანაზღაურების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 5639,1 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 5292,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 76,8%-ია.

საქონელი და მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 8628,8 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 6624,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 72,2 %-ია.

პროცენტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 17,4 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 6,0 ათასი, რაც გეგმის 34,5 % - ია.


სუბსიდიების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 19927,4 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 19037,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 95,5 %-ია. აღნიშნულით დაფინანსდა მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, როგორც შრომის ანაზღაურება, ასევე ადმინისტრაციული ხარჯები, სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებები, სკოლამდელი ასაკის ბავშვების კვების ხარჯი, სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებები, დასუფთავების ღონისძიებები, მოხდა ეპარქიების სუბსიდირება და ა.შ.

გრანტების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 50,0 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 47,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 94,6 %-ია. აღნიშნულის ფარგლებში ანაზღაურებული იქნა ევროპის რეგიონთა ასამბლეას, ევროპის ისტორიული თერმული ქალაქების ასოციაციის და ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“-ს საწევრო.

სოციალური უზრუნველყოფის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2547,7 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 2385,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 93,6 %-ია. აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდა სოციალური პროგრამები, როგორიცაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება, ოჯახების წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარებები, სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება, დედამამით ობოლ ბავშვთა დახმარება, თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება და სხვა.

სხვა ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2452,4 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 1703,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 69,5 %-ია. აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული გადასახდელები, ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი, საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, ომის მონაწილეთა და უჭირისუფლო გარდაცვლილთა დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება, ბინათმესაკუთრეთა თანადაფინანსება, სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება და ა.შ.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 25842,2 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 22502,4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 87,1 %-ია. აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდა გზების კაპიტალური შეკეთება, სასმელი წყლის ქსელისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა, სპორტული მოედნების, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ავარიული შენობების რეაბილიტაცია - მოწყობა, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - მოწყობა, გარე განათების ქსელის მოწყობა - დაერთება და ა. შ.



პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2025 წლის ბიუჯეტის გეგმა	2025 წლის ბიუჯეტის ფაქტი	შესრულები ს %
		სულ	სულ	სულ

00 00	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	65,161.2	57,655.4	88.5
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	8,044.3	7,107.1	88.3
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	32,539.1	28,301.2	87.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,811.7	3,262.1	85.6
04 00	განათლება	8,259.7	7,590.6	91.9
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	8,188.4	7,381.1	90.1
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4,317.9	4,013.2	92.9

1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00) საანგარიშო პერიოდში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 5955,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (6332,5 ათასი ლარი) 94 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამა მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ან/და დაკავშირებულია შესაბამის სფეროში სხვადასხვა საკითხების რეგულირებასთან, როგორიცაა საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება, კადრების მომზადება-გადამზადება.

სულ აღნიშნულ პერიოდში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 7107,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (8044,3 ათასი ლარი) 88,3 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2024 წლის ბიუჯეტის მმართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 6459,0 ათასი ლარი) დახარჯულია 648,1 ათასი ლარით მეტი.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 1837,7 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 5240,7 ათასი ლარი, კადრების მომზადება - გადამზადება 28,8 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში, სარეზერვო ფონდიდან (გეგმა - 100,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით გამოყოფილია 88.4 ათასი ლარი, ხოლო გახარჯულია 78,6 ათასი ლარი, მათ შორის:

პროგრამული კოდი	თარიღი	ბრძანებ. №	ბრძანების თარიღი	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი
06 02 07	15.04.2025	48. 482510513	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულის რეგისტრირებული რომან დგებუაძისათვის თანხის გამოყოფა ფულადი დახმარების სახით	12000	12000
06 02 05	06.06.2025	48. 48251578	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მელანია ტყეშელაშვილისათვის თანხის გამოყოფა პერსონალური ამწის შესაძენად	2300	2300

02 04	22.09.2025	48. 48252652	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025 წლის 20 სექტემბერს მომხდარი ძლიერი სტიქიური მოვლენის - ძლიერი ქარისა და წვიმის შედეგად, დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	39058	29322
06 02 08	23/12/2025	48.482535738	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში მცხოვრებ მრავალბინიან ოჯახს აკაკი ბაბუნაშვილს საცხოვრებელი სახლის სრულად დაწვის გამო საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის თანხის გამოყოფა	35000	35000
სულ თანხა:				88358	78622

1) ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებას ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უჭირავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე სახსრების მიმართებით ნაწილობრივ უზრუნველყოფილი იქნა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რამაც ხელი შეუწყო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებას, ტურიზმის, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია, რომ 2026-2029 წლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 28 301,2 ათასი ლარით, რაც გეგმის (32539,1 ათასი ლარი) 87,0 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2024 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 30 672,9 ათასი ლარი) დახარჯულია 2371,7 ათასი ლარით ნაკლები.(აღნიშნული განაპირობა გარდამავალი ვალდებულებებით თანხების გადატანამ) თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამ ული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2025 წლის ბიუჯეტის გეგმა			2025 წლის ბიუჯეტის ფაქტი			შესრულება ს %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	32,539.1	14,808.2	17,731.0	28,301.2	14,544.5	13756.7	87.0

02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	19,675.7	11,676.9	7,998.8	17,481.9	11,530.1	5951.8	88.9
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	16,211.5	11,170.8	5,040.7	15,199.0	11,085.7	4113.2	93.8
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	3,251.0	481.0	2,770.0	2,205.8	444.4	1761.3	67.8
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	138.4	0.0	138.4	59.2	0.0	59.2	42.8
02 01 04	ხიდების და ბოგირების მშენებლობა	74.8	25.1	49.6	18.0	0.0	18.0	24.1
02 02	წყლის სისტემების განვითარება	4,263.6	2,406.9	1,856.7	3,570.9	2,277.3	1293.7	83.8
02 02 01	სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია	2,223.8	1,489.4	734.4	1,877.3	1,489.1	388.3	84.4
02 02 02	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	2,039.7	917.5	1,122.3	1,693.6	788.2	905.4	83.0
02 03	გარე განათება	1,084.5	0.0	1,084.5	1,054.3	0.0	1054.3	97.2
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	896.5	0.0	896.5	885.6	0.0	885.6	98.8
02 03 02	გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა	188.0	0.0	188.0	168.7	0.0	168.7	89.7
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	653.8	18.3	635.4	401.6	40.0	361.6	61.4
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	1,294.9	0.0	1,294.9	806.6	0.0	806.6	62.3
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	4,120.5	0.0	4,120.5	3,659.9	0.0	3659.9	88.8
02 06 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანება, გარე განათება და კეთილმოწყობა	3,174.8	0.0	3,174.8	3,151.5	0.0	3151.5	99.3
02 06 02	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	4.3	0.0	4.3	4.3	0.0	4.3	99.7
02 06 03	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	941.3	0.0	941.3	504.1	0.0	504.1	53.6
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	794.1	706.0	88.1	762.5	697.2	65.3	96.0
02 08	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	152.4	0.0	152.4	149.3	0.0	149.3	98.0
02 09	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	343.5	0.0	343.5	258.8	0.0	258.8	75.3
02 10	მოქალაქეთა ჩართულობა	156.2	0.0	156.2	155.4	0.0	155.4	99.5

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 3262,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (3811,7 ათასი ლარი) 85,6 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2024 წლის ბიუჯეტის დასუფთავება და გარემოს დაცვის

ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 2966,6 ათასი ლარი) დახარჯულია 295,5 ათასი ლარით მეტი. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2025 წლის ბიუჯეტის გეგმა			2025 წლის ბიუჯეტის ფაქტი			შესრულები ს %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,811.7	0.0	3,811.7	3,262.1	0.0	3262.1	85.6
03 01	სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის	961.4	0.0	961.4	650.9	0.0	650.9	67.7
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	60.0	0.0	60.0	60.0	0.0	60.0	100.0
03 05	ნაგავშემკრები კონტეინერი და ნაგავშიდი მანქანები	50.0	0.0	50.0	44.6	0.0	44.6	89.2
03 06	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება	2,740.2	0.0	2,740.2	2,506.6	0.0	2506.6	91.5

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 7590,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (8259,7 ათასი ლარი) 91,9 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2024 წლის ბიუჯეტის განათლების ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 5496,0 ათასი ლარი) დახარჯულია 2094,9 ათასი ლარით მეტი. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2025 წლის ბიუჯეტის გეგმა			2025 წლის ბიუჯეტის ფაქტი			შესრულები %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	

04 00	განათლება	8,259.7	1,040.8	7,218.9	7,590.6	690.4	6900.2	91.9
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	7,218.9	0.0	7,218.9	6,900.2	0.0	6900.2	95.6
04 02	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია	1,040.8	1,040.8	0.0	690.4	690.4	0.0	66.3

5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

ქალაქის კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება თვითმმართველობის ერთ-ერთი უმინიშვნელოვანესი პრიორიტეტია. კულტურის სფეროში გატარებული ღონისძიებების შედეგად წყალტუბო უნდა წარმოჩინდეს კულტურული სამყაროს ღირსეული წევრად. მუნიციპალიტეტი თავის მხრივ ხელს უწყობს კულტურისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლთა განვითარებას. დემოკრატიული განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით ახალგაზრდობა ერთ-ერთ ყველაზე დიდ ფასეულობას წარმოადგენს. ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარებისა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროპაგანდისათვის თვითმმართველობა განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლინება, როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 7381,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (8188,4 ათასი ლარი) 90,1 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2024 წლის ბიუჯეტის კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 5459,5 ათასი ლარი) დახარჯულია 1921,5 ათასი ლარით მეტი. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2025 წლის ბიუჯეტის გეგმა			2025 წლის ბიუჯეტის ფაქტი			შესრუ ლების %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	8,188.4	9.1	8,179.3	7,381.1	9.1	7372.0	90.1
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	4,342.8	9.1	4,333.7	3,933.1	9.1	3924.0	90.6
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	71.0	0.0	71.0	50.8	0.0	50.8	71.5
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	4,271.8	9.1	4,262.7	3,882.3	9.1	3873.2	90.9
05 01 02 01	წყალტუბო არენა	805.5	0.0	805.5	778.9	0.0	778.9	96.7

05 01 02 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	1,812.2	0.0	1,812.2	1,806.6	0.0	1806.6	99.7
05 01 02 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1,654.1	9.1	1,645.0	1,296.8	9.1	1287.7	78.4
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3,815.0	0.0	3,815.0	3,427.7	0.0	3427.7	89.8
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	3,073.0	0.0	3,073.0	2,883.7	0.0	2883.7	93.8
05 02 01 01	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	1,081.8	0.0	1,081.8	980.7	0.0	980.7	90.7
05 02 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	1,767.3	0.0	1,767.3	1,694.1	0.0	1694.1	95.9
05 02 01 03	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	223.9	0.0	223.9	208.8	0.0	208.8	93.3
05 02 02	კულტურული ღონისძიებები	642.0	0.0	642.0	444.0	0.0	444.0	69.2
05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0	100.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	30.5	0.0	30.5	20.3	0.0	20.3	66.6

6) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის უმთავრესი ღირებულება ადამიანია, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 4013,2 ათასი ლარით, რაც გეგმის (4317,9 ათასი ლარი) 92,9 %-ია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2024 წლის ბიუჯეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 3617,8 ათასი ლარი) დახარჯულია 395,4 ათასი ლარით მეტი. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2025 წლის ბიუჯეტის გეგმა			2025 წლის ბიუჯეტის ფაქტი			შესრულების %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4,317.9	362.3	3,955.6	4,013.2	358.6	3654.6	92.9
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	291.4	291.4	0.0	288.6	288.6	0.0	99.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	291.4	291.4	0.0	288.6	288.6	0.0	99.0
06 02	სოციალური პროგრამები	4,026.5	70.9	3,955.6	3,724.6	70.0	3,654.6	92.5

06 02 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	597.4	0.0	597.4	500.5	0.0	500.5	83.8
06 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება	3.0	0.0	3.0	3.0	0.0	3.0	100.0
06 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	100.0	0.0	100.0	69.9	0.0	69.9	69.9
06 02 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	13.5	10.0	3.5	10.8	10.0	0.8	80.0
06 02 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება	772.3	0.0	772.3	751.9	0.0	751.9	97.4
06 02 06	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	352.3	0.0	352.3	329.3	0.0	329.3	93.5
06 02 07	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	1,251.0	0.0	1,251.0	1,197.9	0.0	1197.9	95.8
06 02 08	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	150.0	0.0	150.0	153.6	0.0	153.6	102.4
06 02 09	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	7.5	0.0	7.5	2.5	0.0	2.5	33.3
06 02 10	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ასევე უსახლკარო / მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენა	373.6	0.0	373.6	362.2	0.0	362.2	96.9
06 02 11	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარება	60.9	60.9	0.0	60.0	60.0	0.0	98.5
06 02 12	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დედ-მამით ობოლ ბავშვთა დახმარება	12.0	0.0	12.0	4.5	0.0	4.5	37.5
06 02 13	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეთა ბინის ქირით უზრუნველყოფა	200.0	0.0	200.0	163.2	0.0	163.2	81.6
06 02 14	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისათვის ყოველთვიური	60.0	0.0	60.0	47.5	0.0	47.5	79.2

	სტიპენდია							
06 02 15	სპციალიზირებულ დაწესებულებიდან (მათ შორის მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან / მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებული ბავშვების ფინანსური დახმარება	3.0	0.0	3.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 16	სადღესასწაულო დღეებში ფინანსური დახმარება	50.0	0.0	50.0	47.6	0.0	47.6	95.2
06 02 17	გადღიერებული ადგილობრივი თემების ახალგაზრდები კატასტროფების ზეგავლენის შემსუბუქების, უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის წყალტუბოში	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0	100.0

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის საანგარიშო პერიოდის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 30182,6 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 33809,2 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 112%.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის საანგარიშო პერიოდის ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 30032,6 ათასი ლარი, ფაქტიურად 33634,7 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 112% შეადგინა.

ა) საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 18157,1 ათასი ლარი და 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 14635,4 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 3521,7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის:

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 13819,7 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2025 წლის ფაქტი 12528,0 ათასი ლარი) შედარებით 1291,7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ქონების გადასახადის გეგმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 1309,1 ათას ლარი, მიღებულია - 4337,4 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია - 4239,1 ათასი ლარი, სასოფლო - სამეურნეო

დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან - 39,3 ათასი ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან - 24,4 ათასი ლარი.
არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან - 14,0 ათასი ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან - 19,4 ათასი ლარი.

ბ) გრანტები საანგარიშო პერიოდისათვის ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 6413,6 ათასი ლარი. მათ შორის:

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები - 33,0 ათასი ლარი, საგრანტო პროექტის სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის ფარგლებში.

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 505,2 ათასი ლარი (მათ შორის მიღებულ იქნა საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება - 234.5 ათ. ლარი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი - 234.0 ათ. ლარი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახებისათვის გამოყოფილი იქნა საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ინვენტარის შესაძენად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად - 25.0 ათ. ლარი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის, ილია II-ის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერიდან - 11,7 ათასი ლარი).

ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 5875.3 ათასი ლარი, მათ / შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის №102 განკარგულებით დაფინანსდა 5430.5 ათ. ლარი, მათ შორის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითში სანიაღვრე სისტემების მოწყობა - რეაბილიტაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საჩხეურიუსა და დღნორისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ქვიტირში #10, 22 , 25, 11,4,5 და პირველი ქუჩა მე-11, მე-13, მე-7 ჩიხის გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია, ქალაქ წყალტუბოში ნინოშვილის, ავალიანის და წერეთლის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა - რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფელ მეჩხერში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ.ფარცხანაყანებში სალიის უბანში, გოცირიძეების უბანში და შიდა გზების ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები. სოფ.ფარცხანაყანებში კოპიტნარის და დევნილთა დასახლებაში საავტომობილო გზის ბეტონის საფარით და სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები. სოფ. გეგუთში მეურნეობის დასახლებაში, სოფ. ოფშკვითში ბაბუნაშვილების უბანში, ბანძელაძეების უბანი (II უბანი ჩხოზაძეების დამაკავშირებელი) გზის ბეტონით საფარის მოწყობა, ასევე სოფ. ბენტქოულაში , სოფ. ყუმისთავში ტუსკაძეების უბანში და სოფ. საყულიაში სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 30 აპრილის #878 განკარგულებით დაფინანსდა 220,4 ათ. ლარით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საჩხეურისა და დღნორისის დამაკავშირებელი გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციისათვის.

„სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 26 იანვრის #85 განკარგულებით დაფინანსდა 209,7 ათ. ლარით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში (რიონი, ზარათი, მეჩხერი, ნოღა, სორმონი, ჭოლევი, ცხუნკური, ქვილიშორი, გაღმა ჩუნეში) 2 ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო მზა ბეტონის შესყიდვა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში: გუმბრა (გურეშიძეების უბანი) ხომული (მე-18 ქუჩის N 34 ჩიხი), ხომული (მე- 20 ქუჩის მე-18 ჩიხი), ოფურჩხეთში, ნამოხვანში და ჟონეთში მზა ბეტონის შესყიდვის სამუშაოების ღირებულება, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში რიონში და ჭოლევიში მზა ბეტონის შესყიდვის სამუშაოების ღირებულება.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის #2260 განკარგულებით დაფინანსდა 14,7 ათ. ლარით საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

გ) სხვა შემოსავლები საანგარიშო პერიოდისთვის ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 9064,1 ათასი ლარი და 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 4728,7 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 4335,4 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: პროცენტის სახით მიღებულია 778,1 ათასი ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 286,7 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 49,7 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 45,6 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (სისტემურ - ელექტრონული ფორმის თამაშებიდან) – 4300,0 ათასი ლარი. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 117,5 ათასი ლარი, შემოსავლები მომსახურების გაწევიდან - 59,4 ათასი ლარი (სახელმწიფო შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავალი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობის იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემოდან მიღებული შემოსავალი. ჯარიმები, სანქციები და საურავები - 3343,5 ათასი ლარი, ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე - 83,6 ათასი ლარი.

დ) არაფინანსური აქტივების კლება საანგარიშო პერიოდისათვის ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 174,5 ათასი ლარი. მათ შორის: ძირითადი აქტივები - 43,3 ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 131,2 ლარი.

ე) ხარჯები ეკონომიკური მუხლების მიხედვით

ათასი ლარი

დასახელება	2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის გეგმა			2024 წლის ბიუჯეტის იანვარი - ივნისის ფაქტი			%
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
II. ხარჯები	21,051.4	525.8	20,525.6	17,248.4	420.4	16,828.0	81.9
შრომის ანაზღაურება	2,790.0	0.0	2,790.0	2,739.2	0.0	2,739.2	98.2
საქონელი და მომსახურება	3,526.6	338.5	3,188.1	2,460.6	277.7	2,182.9	69.8
პროცენტი	2.0	0.0	2.0	1.2	0.0	1.2	59.8
სუბსიდიები	11,976.2	159.2	11,817.0	9,955.2	139.5	9,815.8	83.1
გრანტები	37.5	0.0	37.5	1.0	0.0	1.0	2.8
სოციალური უზრუნველყოფა	1,699.9	28.1	1,671.8	1,484.9	3.2	1,481.7	87.4
სხვა ხარჯები	1,019.2	0.0	1,019.2	606.3	0.0	606.3	59.5

ვ) ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:
ათასი ლარი:

org. kodi	დასახელება	2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის გეგმა	2026 წლის ბიუჯეტის იანვარი - ივნისის ფაქტი	%
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	75,0	22,3	29,7
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13290,1	7361,5	55,4
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	262,8	242,1	92,1
04 00	განათლება	716,9	568,2	79,3
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	560,4	393,9	70,3
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	6,6	2,7	40,9
	სულ	14911,8	8590,7	57,6

დასახელება	2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის გეგმა	2024 წლის ბიუჯეტის იანვარი - ივნისის ფაქტი	%
არაფინანსური აქტივების კლება	150,0	174,5	116,3
ძირითადი აქტივები	50,0	43,3	86,5
არაწარმოებული აქტივები	100,0	131,2	131,2
მიწა	100,0	131,2	131,2

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ საანგარიშო პერიოდისთვის 25866,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (35993,1 ათასი ლარი) 71,9 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 28282,8 ათასი ლარი) დახარჯულია 2415,9 ათასი ლარით ნაკლები.

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 21051,4 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 17248,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 81,9%-ია.

შრომის ანაზღაურების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2790,0 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 2739,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 98,2%-ია.

საქონელი და მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3526,6 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 2460,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 69,8 %-ია.

პროცენტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2,0 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 1,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 59,8 %-ია.

სუბსიდიების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 11976,2 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 9955,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 83,1 %-ია. აღნიშნულით დაფინანსდა მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, როგორც შრომის ანაზღაურება, ასევე ადმინისტრაციული ხარჯები, სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებები, სკოლამდელი ასაკის ბავშვების კვების ხარჯი, სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებები, დასუფთავების ღონისძიებები, მოხდა ეპარქიების სუბსიდირება და ა.შ.

გრანტების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 37,5 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 1,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 2,8%-ია.

სოციალური უზრუნველყოფის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1699,9 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 1484,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 87,4%-ია. აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდა სოციალური პროგრამები, როგორცაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება, ოჯახების წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარებები, სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება, დედამით ობოლ ბავშვთა დახმარება, თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება და სხვა.

სხვა ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1019,2 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 606,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 59,5 %-ია. აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდა ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი,

საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, ომის მონაწილეთა და უჭირისუფლო გარდაცვლილთა დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება, ბინათმესაკუთრეთა თანადაფინანსება და ა.შ.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14911,7 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 8590,7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 57,6 %-ია. აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდა გზების კაპიტალური შეკეთება, სასმელი წყლის ქსელისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა, სპორტული მოედნების, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ავარიული შენობების რეაბილიტაცია - მოწყობა, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - მოწყობა, გარე განათების ქსელის მოწყობა - დაერთება და ა. შ.

პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:

პროგრამ ული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის გეგმა			2026 წლის ბიუჯეტი იანვარ - ივნისის ფაქტი			შესრულე ბის %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
00 00	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	35,993.1	9,707.3	26,285.8	25,866.9	6,753.8	19,113.1	71.9
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4,073.8	0.0	4,073.8	3,614.1	0.0	3,614.1	88.7
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	17,946.4	8,597.1	9,349.3	10,918.6	5,767.1	5,151.5	60.8
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,872.6	0.0	1,872.6	1,721.9	0.0	1,721.9	92.0
04 00	განათლება	5,508.9	922.8	4,586.1	4,170.2	844.1	3,326.2	75.7
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	4,103.5	0.0	4,103.5	3,335.5	0.0	3,335.5	81.3
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,487.9	187.3	2,300.6	2,106.5	142.7	1,963.9	84.7

1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

აღნიშნული პროგრამა მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ან/და დაკავშირებულია შესაბამის სფეროში სხვადასხვა საკითხების რეგულირებასთან, როგორცაა საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება, კადრების მომზადება-გადამზადება.

სულ აღნიშნულ პერიოდში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 3614,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (4073,8 ათასი ლარი) 88,7 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2025 წლის ბიუჯეტის მმართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 3524,9 ათასი ლარი) დახარჯულია 89,2 ათასი ლარით მეტი.

